

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N292

გამარტივებული შესყიდვა

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად)

დაფინანსების წყარო 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

ქ. თბილისი

13 მარტი 2020 წ.

სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს #4; ტელეფონი: 2 436999; საბანკო რეკვიზიტები: ანგ. #GE24NB0330100200165022 სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, სკ-204578206), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის მარიამ ქვრივიშვილის სახით და შპს „სასტუმრო გუდაური ინ“ (მის: საქართველო, ყაზბეგი, დაბა გუდაური; სიდ.კოდი: 441484948 ; საბანკო რეკვიზიტები: სს „თბილისი ბანკი“; ანგ/ნომერი:GE25TB7329836020100003; ბ.კ.TBCBGE22) შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ჯანიაშვილი სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6. „მომსახურება“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

სასტუმრო მომსახურება

(ჯანმო-ს მიერ მაღალი რისკის ზონად ნომინირებული არეებიდან შემოსული საქართველოს მოქალაქეების განთავსება)
(CPV 55110000)

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: **700 620.00** (შვიდასი ათას ექვსას ოცი ლარი და 00 თეთრი) **ლარს**.
- 3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;
- 3.3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება წარმოადგენს რა საორიენტაციო მაჩვენებელს, რომლიდანაც ანაზღაურდება მხოლოდ კონკრეტულად გაწეულ მომსახურებათა ღირებულება, შესაბამისად შემსყიდველი, წინამდებარე ხელშეკრულებით ვალდებული არ არის განახორციელოს ხელშეკრულების ღირებულების სრულად ათვისება.
- 3.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
- 3.5. მომსახურების გაწევის ვადა: **2020 წლის 16 მარტიდან 2020 წლის 14 მაისის ჩათვლით**.
- 3.6. მომსახურების გაწევის ადგილია: **ყაზბეგის რაიონი, სოფელი გუდაური; სასტუმრო „გუდაური ინ“**.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

- ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა დანართი N1-ის შესაბამისად.
- ბ) მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს ინდივიდუალური გათბობის სისტემა და არა საერთო კონდინციონერების სისტემა. მიმწოდებელმა უნდა გამოყოს სასტუმროში არსებული ნომრები კარანტინის ფარგლებში.
- გ) უზრუნველყოს სტუმრები სამჯერადი კვების მომსახურებით (საუზმე, სადილი, ვახშამი), საკვები მიწოდებული უნდა იყოს ერთჯერადი კონტეინერებით, საკვების მიწოდება უნდა მოხდეს სასტუმროს ნომრის კართან ერთჯერად პარკებთან ერთად. ასევე, მიმწოდებელი ვალდებულია ნაგვის (საჭმლის ნარჩენები და ა.შ.) გატანა (საჭიროების შემთხვევაში უტილიზაცია) რეგულარულად განახორციელოს ჯანმოს მიერ გაცემული რეკომენდაციების ფარგლებში. ამასთან ერთად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სასტუმროს ტერიტორიაზე არსებული დაცვის პოლიციის და სამედიცინო დახმარების ჯგუფის სამჯერადი კვებით უზრუნველყოფა.
- დ) უზრუნველყოს თეთრეულის მიწოდება სასტუმროში განთავსებისას ყოველ ახალ შემოსულ პირზე. სასტუმროში განთავსებულ პირებს მიაწოდოს ჰიგიენური თავის მოვლის საშუალებები: ტუალეტის ქაღალდი, საპონი, შამპუნი, დასაბანი გელი, სარეცხი საშუალება ფეირი, კბილის პასტა, კბილის ჯაგრისი, ერთჯერადი ჩუსტი, ასევე მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ზემოთხსენებული ნივთების საჭიროებისამებრ განახლება მარაგის ამოწურვის შემთხვევაში.

ე) სასტუმროში განთავსებისას ყოველ ახალ შემოსულ პირს მიაწოდოს: თერმომეტრი (თერმომეტრების დეზინფექცია (საჭიროების შემთხვევაში უტილიზაცია) უნდა მოხდეს ჯანმრთელობის მიერ გაცემული რეკომენდაციების მიხედვით ყოველი სტუმრის გასვლის შემდგომ), ელექტრო ჩაიდანნი, ჭიქები და კოვზები (სასურველია იყოს ერთჯერადი) ჩაი, ყავა, შაქარი, ასევე მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს პირები წყლით, დღეში ორი ბოთლი წყალი 1 პერსონაზე.

ვ) ოთახები აღჭურვილი უნდა იყოს მაგიდის და იატაკის საწმენდებით (ერთჯერადი და მრავალჯერადი გამოყენებისთვის), ცოცხით და აქანდაზით.

ზ) მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ყოველ ორ დღეში ერთხელ სასტუმროს ოთახებისა და მიმდებარე ტერიტორიის დალაგება (ნაგვის გატანა).

თ) უზრუნველყოს სტუმრების გასვლის შემდეგ სასტუმროს ოთახების დეზინფექცია, ხოლო ყოველ ორ კვირაში ერთხელ სასტუმროს კორიდორის სრული დეზინფექცია ლიცენზირებული სადეზინფექციო სამსახურის მიერ, რომელიც წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს. სადეზინფექციო მომსახურების საფასური განისაზღვრება 1კვ/მ - არაუმეტეს 0.25 ლარი. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან ათი დღის ვადაში წარმოადგინოს დეზინფექციის თაობაზე ქვეკონტრაქტორ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება.

ი) ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეწყვიტოს იდენტური მომსახურების გაწევა სხვა პირებისთვის, არ დაუშვას მესამე პირების შესვლა სასტუმროს შენობაში, გარდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიმღები პირებისა და მომსახურების გამწვევი სასტუმროს პერსონალისა.

კ) არ დაუშვას, ხელშეკრულების დადებამდე და მისი დადების შემდგომ, ადმინისტრაციის წინასწარი თანხმობის გარეშე, სოციალური ან სხვა მედიის საშუალებით ინფორმაციის გავრცელება ხელშეკრულების პირობების შესახებ. შემსყიდველთან შეთანხმებას ექვემდებარება ნებისმიერი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ეხება სტუმრების იზოლაციას, საკარანტინო პირობებს, მათ კვებას და მათ განთავსებას.

ლ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

მ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხარისხი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს: **სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბრენდის განვითარების სამმართველოს ბრენდის განვითარების კოორდინატორი ნანა დგებუაძე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.**

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება ხარვეზიანი მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ წერილობით დადგენილ ვადაში გამოსწოროს ხარვეზი ან თუ ხარვეზის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.4 თუ ამ მუხლის 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ხარვეზის გასწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ ხარვეზის გამოსწორება, ხოლო ხარვეზის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

6.5 მხარეები თანხმდებიან, რომ მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევად არ იქნება განხილული სასტუმროში განთავსებული პირის მიერ ოთახის/შენობის თვითნებური დატოვება/ოთახიდან ან შენობიდან გაპარვა. მიმწოდებელი ვალდებულია მიმართოს ყველა შესაძლო ზომას მსგავსი ფაქტების პრევენციის მიზნით. აგრეთვე, ამგვარი ფაქტის იდენტიფიცირებისთანავე დაუყოვნებლივ შეატყობინოს შემსყიდველს აღნიშნული გარემოების თაობაზე და მისი შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოს მოქალაქის დაბრუნება მისთვის განკუთვნილ ნომერში. თუმცა, წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული მიმწოდებლის ვალდებულება არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ ის კისრულობს პირის იძულებით გადაყვანის ვალდებულებას. ამგვარი საჭიროების დადგომის შემთხვევაში მიმწოდებელმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს შემსყიდველს და გამოიძახოს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელისმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს: **სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბრენდის განვითარების სამმართველოს ბრენდის განვითარების კოორდინატორი ნანა დგებუაძე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.**

8 ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორების პირობები:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება ეტაპობრივად, კვირაში ერთხელ, ინვოისის წარმოდგენიდან, მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში) წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8.3 თანხმდებიან, რომ სასტუმრო მომსახურების ღირებულება (კვების გარეშე) გადახდილი იქნება მიუხედავად იმისა, მოხდება თუ არა შემსყიდველის მიერ მომსახურების ფაქტობრივად მიღება, შესაბამისად, თანხა გადახდილი უნდა იყოს იმ შემთხვევაშიც კი, თუ შემსყიდველმა არ ისარგებლა მიმწოდებლის მომსახურებით, ხოლო დანარჩენი მომსახურების თანხის ანაზღაურება მოხდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

9 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5% ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული ხარვეზის აღმოფხვრისათვის შეტყობინებით დადგენილი ვადის გადაცილების შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების **0.07%-ის** ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12 დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13 ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან, **მოქმედებს 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

15 ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, მომსახურების გაწევაზე ემზარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

16 სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, მეორე - შემსყიდველს.

17 მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული
ადმინისტრაცია

მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ #4

ტელეფონი: 2 436999

საბანკო რეკვიზიტები: ა/ნGE24NB0330100200165022

სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22.

ს/კ - 204578206

მიმწოდებელი

შპს „სასტუმრო გუდაური ინ“

მისამართი: ყაზბეგი, დაბა გუდაური

ტელეფონი: 599933348

საბანკო რეკვიზიტები: საბანკო რეკვიზიტები: სს

„თიბისი ბანკი“; ანგ/ნომერი:GE25TB7329836020100003;

ბ.კ.TBCBGE22)

ს/კ - 441484948

ხელმძღვანელი

მარიამ ქერივიშვილი

დირექტორი

დავით ჯანიაშვილი

№	ოთახების რაოდენობა	ოთახის ღირებულება (დღიური)	1 პერსონის სამჯერადი კვების ღირებულება (დღიური)	დეზინფექციის ღირებულება (1 კვ/მ)
1	92	110.00 ლარი	30.00 ლარი	0.25 ლარი

შემსყიდველი

სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
 მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ #4
 ტელეფონი: 2 436999
 საბანკო რეკვიზიტები: ა/ნGE24NB0330100200165022
 სახელმწიფო ხაზინა,
 კოდი TRESGE22.
 ს/კ - 204578206

ხელმძღვანელი
 მარიამ ქვრივიშვილი

მიმწოდებელი

შპს „სასტუმრო გუდაური ინ“
 მისამართი: ყაზბეგი, დაბა გუდაური
 ტელეფონი: 599933348
 საბანკო რეკვიზიტები: საბანკო რეკვიზიტები:
 სს „თიბისი ბანკი“;
 ანგ/ნომერი:GE25TB7329836020100003;
 ბ.კ.TBCBGE22)
 ს/კ - 441484948

დირექტორი
 დავით ჯანიაშვილი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ სასტუმრო მომსახურების შესყიდვის მიზნით გამარტივებული შესყიდვით დადებულ **2020 წლის 13 მარტის N292** ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ხელმძღვანელი

მარიამ ქვრივიშვილი

ინსპექტირებისა და მიღება-ჩაბარების
განმახორციელებელი პირი

ნანა დგებუაძე